

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვასილ ბოლაშვილი ფიროსმანი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2022

საქმიანობის შედეგები 31.12.2022

განმარტებითი შენიშვნები

ვასილ ბოლაშვილი - ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საწარმოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ვასილ ბოლაშვილი - ფიროსმანი ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგს, ფულადი სახსრების მოძრაობასა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან
ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს
კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების
განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

ხელმძღვანელი ვასილ ბოლაშვილი /-----/

მთავარი ბუღალტერი ხატია ჭონქაძე /-----/



ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია - ინდივიდუალური მეწარმე ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი ს/კ 01026002528 დაფუძნებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმე ოიურიდიული პირების რეესტრში 2000 წლის 12 აპრილს ,რეგისტრაციის N46/1-64

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი ონიაშვილის ქუჩა N 1

ფაქტიური მისამართი :სასტუმრო ფიროსმანი- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის ხეივანი მე 7 კილომეტრი

საქმიანობის ძირითადი სფერო :

სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე

უძრავი ქონების ფლობა და მისი იჯარით გაცემა

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი

ანგარიშების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2022 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

საწარმოს ხელმძღვანელი : ვასილ ბოლაშვილი

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომზადებულია საერთაშორისო
ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო
საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად
(შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს
საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა
შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული
აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის
საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და
ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის
შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი
დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება
ელექტრონული ფორმით .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს
საღაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირები
ს,გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ
აისახება გამიჯნულად . მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის
მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში
აღრიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების
დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია -უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“

დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალაები ჩამოწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით

სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

სპეცტანსაცმელი და შრომის დაცის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს (კალკულატორი, ტელ. აპარატი და სხვა)

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელ ინვთები და მასალები
(კატრიჯები ,დისკები ,ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და
შესყიდვისთანავე მიეკუთვენა კომპიუტერის ხარჯებს

მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის
შემნადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე ტექნოლოგიური საშალება
ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე

სამშენებლო მასალები რომლებიც გამოიყრნება მიმდინარე რემონტისათვის ,ძირითადი
საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სატადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება
აქტის საფუძველზე

ძირითადი საშუალებები-

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით
რომელიც მოიცას :ნასყიდობის ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად
გადასახადებს ,ტრანსპორტირების ,მონტაჟისა და სამუშაო მდომარეობაშ
მოყვანის ხაჯრებს
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების
ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება
რეალური ღირებულებებით .
- ფინანსურ ანგარიშგებაშ ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი
ღირებულებით
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი
პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლდებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხვება წრფივი მეთოდით
- საწარმო ძირითადი საშუალებებების გადაფასეხბას ახდენს ძირითადი
საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .

არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით
,რომელიც მოიცავს ნასყიდბოსს ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად
გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად
მომზადებისათვის
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალშ აიღება
რეალური ღირებულებით

ვასილ ბოლაშვილი - ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში
-

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის შპს ექსპრესსერვისი 2008 ფინანსური ანგარიშგება მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგებოი ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად ,თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს სასტუმროს მომსახურებაზე გახარჯულ, პირდაპირ მიკუთვნებული მასალების და ნედლეულის ხარჯებს, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და სხვა ტიპის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული სასტუმროს მომსახურების განხორციელებასთან.

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი -ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.
- საოპერაციო ხარჯები ცხრილი

კაპიტალი -

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საქრმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 %-ით

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა
როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე
აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების
გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა,
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და
გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების
ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო
მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა
პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას.
სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების
ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში
საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული
სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს.
გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის
საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად
ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ
გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო
გაუფასურების რეზერვის შექმნა.

COVID 19

2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა
COVID 19 პანდემია. პანდემიის გავლენის შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ
დააწესა მთელი რიგი შეზღუდვები: კარანტინი, კომენდანტის საათი, ლოქდაუნი
და სხვა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია როგორც
ეკონომიკაზე ასევე ადგილობრივ ბიზნესზე. კომპანიაში 2020-2021 წლებში
საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა რეგულაციების სრული დაცვით.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით რთულია სამომავლო
შედეგების პროგნოზირება და გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვა.

ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ
მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

ვასილ ბოლაშვილი - ფიროსმანი
საქმიანობის შედეგები

	12.31.2022	12.31.21	31.12.2020
შემოსავლები:			
მთლიანი შემოსავლები	5508169	2250422	2267198
შემოსავალი ძირ.საშ.რეალიზაციიდან			
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:			
მარაგები პერიოდის დასაწყისში	58236	0	75000
შესყიდვების ხარჯები	535943	154200	116136
მარაგები პერიოდის ბოლოს	58236	58236	54236
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	535943	95964	136900
საერთო მოგება	4972226	2154458	2130298

საოპერაციო ხარჯები			
სახელფასო ხარჯები	259826	121578	88125
კომუნალური ხარჯები	761329	203056	138901
სამეურნეო ხარჯები			
რეკლამა			
ქონების გადასახადი			
სხვა საოპერაციო ხარჯები	938426	1020857	861710
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1959581	1345491	1088736

საოპერაციო მოგება			
--------------------------	--	--	--

ცვეთა და ამორტიზაცია			
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	13052	29321	53664
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1303974	1512081	
მოგების გადასახადი			
დივიდენდი			
	1317026	1541402	
წმინდა მოგება (ზარალი)	1695619	-732435	987898
წინა წლების ზარალი	-732435		
მოგების გადასახადი	192636,8		197579,6

ხელმძღვანელი ვასილ ბოლაშვილი
მთავარი ბუღალტერი ხატია ჭონქაძე
ბ.ა



ვასილ ბოლაშვილი -ფიროსმანი 01026002528

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობა

31.12.2022

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5946	4600	790319
სავაჭრო მოთხოვნები		23855	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები			
- მზა პროდუქცია			
- სხვა	58236	58236	54236
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12298140	10994166	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	12 362 322	11 080 857	844 555
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	90774	79730	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები		8855	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	220908	2103784	
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			54236
სულ ვალდებულებები	311682	2192369	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	11087460	8830604	
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	963180	57884	790319
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	12 050 640	8 888 488	844 555
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	12 362 322	11 080 857	

ხელმძღვანელი ვასილ ბოლაშვილი /-----/

მთავარი ბუღალტერი ხატია ჭონქაძე /-----/

ბ.პ

